მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 16

სოფ. ბერბუკი 7 დეკემბერი 2020 წ

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ამალია საური-საბანაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ვიქტორ მთვარელიძე, პ/ნ (59001036823) (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV:50720000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 64 (სამოცდაოთხ) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლა.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება

შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ამალია საური-საბანაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 18 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ბერ ბუ კის საჯარო სკოლა ს/კ218049154 მის: - გორის რ-ნი, სოფ ბერბუკი ტელ: 577 094 480 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE98LB0121140516411000 **დირექტორის მ/შ ამალია საური-საბანაძე**	**მიმწოდებელი:** ი/მ ვიქტორ მთვარელიძე ს/კ 59001036823 მის.: გორი, სამეფოს ქ.N 44 ტელ.: 591 101 017 საბანკო რეკვიზიტები: სს „თ ი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი TBCGE22 ა/ა GE 23 TB 7875 6450 6110 0048 **ფ/პ ვიქტორ მთვარელიძე**

მიღება-ჩაბარების აქტი 7 დეკემბერი 2020 წელი

(საქონლის მიწოდების, გაწეული მომსახურების,სამუშაოს შესრულების)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლასა და ფ/პ ვიქტორ მთვარელიძეს შორის 2020 წლის 7დეკემბრის N 16 გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „შემსყიდველი“საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლა, მისი წარმომადგენლის ამალია საური-საბანაძის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი“მისი ვიტორ მთვარელიძე სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

(მიწოდებულია საქონელი, გაწეულია მომსახურება, შესრულებულია სამუშაოები)

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში

საქონლის დასახელება: ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2020 წლის 7დეკემბრის N 16 ხელშეკრულებების პირობების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 64 (სამოცდაოთხ) ლარს. (მიწოდებული

საქონელი, გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო)

გაწეულმა მომსახურებამ ჯამში შეადგინა 64 (სამოცდაოთხი) ლარი.

ასანაზღაურებელია 50 (ორმოცდაათი) ლარი და 18 თეთრი.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ი/მ ვიქტორ მთვარელიძე
სსიპ ბერბუკის საჯარო სკოლა	საიდენტიფიკაციო კოდი: 59001036823
საიდენტიფიკაციო კოდი: 218049154	მისამართი: გორი, სამეფოს N 44
მისამართი: გორი, სოფ. ბერბუკი	ტელეფონი: 591 101 017
ტელეფონი: 577 094 480	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები	სს „თი ბი სი“ ბანკი
სს „ლიბერთი ბანკი	ბანკის კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: LBRTGE2	ანგ. N GE 23 TB 7875 6450 6110 0048
ანგ. N GE 98 LB 0121 1405 1641 1000	
დირექტორის მ/შ: ა. საური-საბანაძე	ფ/პ ვ. მთვარელიძე